

ინფორმაცია კონკურსანტისათვის

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში სტუ) შიდა საგრანტო კონკურსში შემდეგი ნომინაციების პროექტებია წარმოდგენილი:

1. **ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტი** გაიცემა მკვლევარზე, რომელსაც გააჩნია კვლევის ჩამოყალიბებული და მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა საკვლევო ობიექტის შესასწავლად;
2. **სამეცნიერო-თეორიული გრანტი** გაიცემა მკვლევართა ჯგუფზე, რომელსაც გააჩნია სამეცნიერო პრობლემის გადაჭრის მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა;
3. **გამოყენებითი სამეცნიერო პროექტი:**
 - 3.1. პროექტი სადაც ინვესტიცია ბრუნდება სტუ-ს ადმინისტრაციასა და შემსრულებელს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. პროექტს უნდა ერთვოდეს წინასწარი განზრახულობის ხელშეკრულება მწარმოებელთან პროექტით განსაზღვრული პროდუქციის გამოშვება რეალიზაციაზე;
 - 3.2. უახლოესი პერიოდის სამრეწველო რეალიზების პერსპექტივის მქონე მეცნიერებატევადი პროექტი.

შენიშვნა:

- ❖ თითოეული კონკურსანტი მონაწილეობს სტუ-ს შიდა გრანტის მხოლოდ ერთ ნომინაციაში;
- ❖ უპირატესობა ენიჭება საბაზრო პერსპექტივის მქონე პროექტებს.